

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 7

ზ ო გ ა დ ი

ნ ა წ ი ლ ი

1. ამნისტია
2. გაუფრთხილებელი დანაშაული
3. დენადი დანაშაული
4. სასჯელი
 - სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი
 - სასჯელის დანიშვნა დანაშაულის (განაჩენთა) ერთობლიობის დროს
 - სასჯელის შემსუბუქება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო

1. ამნისტია

განჩინება

-84-აპ-10

23 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს განაჩენით მ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, არაერთგზის და კრედიტის უკანონო მიღება, ასევე – მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ჩადენილი თანამონაწილეობით) და რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. გ-ემ განიზრახა, რომ ს\ს „ს-ს ბ-ის“ თანამშრომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებით, თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ს\ს „ს-ს ბ-ის“ კუთვნილ თანხებს; მან ასევე განიზრახა, „ს-ს ბ-იდან“ უკანონო კრედიტის მიღებაში დახმარებოდა მოქალაქეებს ბანკში ყალბი ცნობების წარდგენის გზით. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. გ-ე დაუკავშირდა მოქალაქეთა ჯგუფს, დაუმზადა მათ სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ყალბი რეკომენდაციები, სახელფასო ცნობები და ამონაწერები, რაც გადასცა მათ ს\ს „ს-ს ბ-ში“ წარსადგენად უკანონო კრედიტის მისაღებად, ხოლო ყალბი დოკუმენტების წარდგენის შედეგად მოქალაქეებზე დამტკიცებულ კრედიტის თანხებს დაეუფლა თაღლითურად.

აღნიშნული გზით მ. გ-ე 2006 წლის 7 სექტემბერს დაეუფლა დ. ჭ-ეზე ს\ს „ს-ს ბ-ში“ დამტკიცებულ სამომხმარებლო კრედიტს -6000 ლარს; 11 სექტემბერს -ნ. ქ-ის 6000 ლარს; 2006 წლის 22 სექტემბერს -მ. ქ-ის, თ. ქ-ის, მ. შ-ისა და მ. წ-ის სახელზე დამტკიცებულ სამომხმარებლო კრედიტებს -6000-6000 ლარს; 2006 წლის 11 ოქტომბერს -ე. დ-ას სახელზე დამტკიცებულ სამომხმარებლო კრედიტს -5200 ლარს; 2006 წლის 18 ოქტომბერს -ნ. ს-ის 6000 ლარს; 2006 წლის 24 ოქტომბერს -ა. ქ-ის 6000 ლარს; 2006 წლის 30 ოქტომბერს -ი. ბ-ისა და მ. მ-ის 6000-6000 ლარს; იმავე წლის 1 ნოემბერს -ლ. ბ-ისა და მ. კ-ის 6000-6000 ლარს; 3 ნოემბერს -ა. ვ-ის 6000 ლარს; 7 ნოემბერს -ო. ზ-ის 6000 ლარს; 10 ნოემბერს -ს. ზ-ის 6000 ლარს; 13 ნოემბერს -რ. მ-ის 6000 ლარს; 16 ნოემბერს -ნ. ზ-ის 6000 ლარს; 24 ნოემბერს -დ. კ-ის 6000 ლარს; 28 ნოემბერს -გ. პ-ის 6000 ლარს; 29 ნოემბერს -ს. ჯ-ის 6000 ლარს; 30 ნოემბერს -ლ. ლ-ისა და ა. დ-ოს 6000-6000 ლარს; 10 დეკემბერს -ა. ჯ-ის 6000 ლარს; 1 დეკემბერს -ნ. ე-ის 6000 ლარს; 4 დეკემბერს -ი. ზ-ის, ვ. ც-ის, ე. ბ-ისა და ნ. ჯ-ის 6000-6000 ლარს; 5 დეკემბერს -გ. ჯ-ის 6000 ლარს; 8 დეკემბერს -მ. გ-ის 6000 ლარს; 12 დეკემბერს -ა. ო-ისა და თ. ა-ის 6000-6000 ლარს; 28 დეკემბერს -ც. დ-ის, თ. ჯ-ის, ს. ა-ის 6000-6000 ლარს; 29 დეკემბერს -ნ. წ-ის, ნ. ბ-ის, მ. მ-ის, ნ. ტ-ის 6000 ლარს; 27 დეკემბერს -მ. კ-ას 6000 ლარს; 2007 წლის 4 იანვარს -მ. გ-ის 6000 ლარს; 5 იანვარს -ნ. ტ-ისა და ო. ქ-ას 6000-6000 ლარს; 5 იანვარს -ს. ო-ის 3000 აშშ დოლარს; 8 იანვარს -შ. ც-ე-ო-ას 6000 ლარს; 13 თებერვალს -მ. გ-ის 6000 ლარს; 20 თებერვალს -ნ. გ-ას 6000 ლარს; 5 მარტს -ა. ქ-ისა და ლ. ვ-ის 6000-6000 ლარს; 16 მარტს -მ. ხ-ისა და ლ. ბ-ის 6000-6000 ლარს; 19 მარტს -მ. მ-ის 6000 ლარს; 21 მარტს -დ. ჩ-ის 6000 ლარს; 23 მარტს - მ. მ-ის 6000 ლარს; 2 აპრილს -ი. ხ-ის 6000 ლარს; 11 აპრილს -ე. ი-ისა და თ. ფ-ის 6000-6000 ლარს; 12 აპრილს -ვ. გ-ის, ლ. ლ-ას, გ. ქ-ას 6000-6000 ლარს; 13 აპრილს -თ. ო-ის, თ. მ-ის 6000-6000 ლარს და ვ. გ-ის 3400 აშშ დოლარს; 20 აპრილს -ბ. ბ-ის 6000 ლარს; 1 მაისს -ი. ხ-ას 6000 ლარს; 15 მაისს -ე. ხ-ისა და ზ. ლ-ის 6000-6000 ლარს; 23 მაისს -გ. ს-ის 6000 ლარს; 29 ივნისს -ლ. ხ-ის, ვ. ტ-ის, ა. ფ-ის, თ. ნ-ისა და კ. ლ-ის 6000-6000 ლარს. მ. გ-ის ქმედებით ს\ს „ს-ს ბ-ს“ სულ მიადგა 1115898,56 ლარისა და 66333,46 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი.

მ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 6 დეკემბრიდან. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მას ს\ს „ს-ს ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 1115898,56 ლარისა და 66333,46 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა გ. ყ-ემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და თაღლითობის ნაწილში მ. გ-ის გამართლება, ასევე -მსჯავრდებულისათვის მის მიერ რეალურად მიყენებული ზარალის ოდენობის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული მ. გ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, არ შეესაბამება სამართლის პრინციპებს და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, კერძოდ: საქმის განხილვაში მონაწილეობდა ის პროკურორი, რომლის მეუღლე იყო მ. გ-ის ადვოკატი წინასწარ გამოძიებაში; აღნიშნულს არ უარყოფს და ადასტურებს თავად პროკურორი ს. ჯ-ი, თუმცა თავის მონაწილეობას საქმის განხილვაში ამართლებს იმით, რომ საქმეში არ დევს ორდერი. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ წინასწარ გამოძიებაში პროკურორის მეუღლე ზ. ა-ის მონაწილეობით არ ჩატარებულა ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც აუცილებელს გახდოდა ადვოკატის ორდერის დართვას საქმის მასალებისათვის; ადვოკატი ზ. ა-ი მ. გ-ის სანახავად ციხეში შედიოდა ორდერის საფუძველზე. ყოველივე ეს კი იძლევა განაჩენის გაუქმების საფუძველს, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლისა.

რაც შეეხება წარდგენილ ბრალდებას, მ. გ-ე ნაწილობრივ -სსკ-ის 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ცნობს თავს დამნაშავედ. მან წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს აღიარა, რომ ბანკიდან მართლაც მიიღო უკანონო კრედიტები, მაგრამ ამ თანხებს იგი ფარავდა განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, მის დაკავებამდე. რაც შეეხება თაღლითობას, მსჯავრდებულს ეს დანაშაული არ ჩაუდენია, ყველა მოწმე ადასტურებს, რომ მათსა და მ. გ-ეს შორის არანაირი გარიგება რაიმე ტიპის სარგებლის მიღებაზე არ ყოფილა; ყველა მათგანი აცნობიერებდა, თუ რას აკეთებდნენ და თანხა რა მიმართულებით უნდა წასულიყო. ეს მოწმეები წინასწარ გამოძიებაში დაზარალებულის სტატუსით სარგებლობდნენ, ხოლო შემდეგ აღარ მიიჩნიეს დაზარალებულებად, რადგან მათ არანაირი ზარალი არ მიუღიათ. რაც შეეხება ბანკს, ის ნამდვილად დაზარალდა, მაგრამ ისევ თავისი თანამშრომლის -ვ. რ-ის ქმედებით. მ. გ-ე ყოველთვის უარდ, დაკავებამდე, ფარავდა მის მიერ აღებული თანხის პროცენტებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას თაღლითობის განზრახვა არ ჰქონია. მას სურდა ბანკისათვის თანხის სრულად დაბრუნება. თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში კი შედის მოტყუება, ანუ ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დამალვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამიტომ უნდა დადგინდეს რეალობის დამახინჯების ან შეტყობინების წინასწარი განზრახვა. ვ. რ-ი გაცემდა კრედიტებს ისე, რომ მომკითხავიც არავინ ჰყავდა, მაშინ, როდესაც ბანკში თითოეული თეთრის გაცემაზე გენერალური დირექტორის თანხმობა საჭირო. ყველა უკანონოდ გაცემულ კრედიტზე ვ. რ-ის თანხმობა და ხელმოწერაა.

კასატორის აზრით, საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ დანაშაული, რომელიც მიმართულია ფულად-საკრედიტო სისტემისაკენ, ნამდვილად არსებობს. საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარდა ცალმხრივად, არ დაკითხეს ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტების დასადგენად; „ს-ს ბ-იდან“ არ გამოუთხოვიათ ვ. რ-ის მიერ გაცემულ კრედიტებზე საკრედიტო საქმეები და არ შეუმოწმებიათ, კრედიტები გაიცა თუ არა ბანკში არსებული წესების დაცვით, ასრულებდა თუ არა ვ. რ-ი სამსახურებრივ მოვალეობას პირნათლად.

საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული ასევე მიუთითებს, რომ 2009 წლის 13 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა წარადგინა ს\ს „ს-ს ბ-ის“ წერილი მ. გ-ის მიმართ დავალიანების არსებობის შესახებ, დათარიღებული 2009 წლის 3 ივლისით, სადაც დავალიანება დაანგარიშებულია 2008 წლის 12 იანვრის მდგომარეობით. ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ სესხები იფარებოდა. 2009 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომაზე „ს-ს ბ-ის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასული წლის ნოემბერში „ს-ს ბ-სა“ და ვინმე ზ. რ-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ურთიერთობებიდან წარმოშობილი მოთხოვნების დათმობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოთხოვნის დამთმობმა (ბანკმა) ახალ კრედიტორს (ზ. რ-ს) დაუთმო თავის საკუთრებაში არსებული 318 საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, მათ შორის -მოთხოვნები იმ 115 სესხზე, რომელთა თაობაზეც ბანკმა წარმოადგინა დაზუსტებული სამოქალაქო სარჩელი. შესაბამისად, მოთხოვნის დათმობით ახალ კრედიტორზე -ზ. რ-ზე გადავიდა მოთხოვნის დამთმობის ყველა უფლება და უზრუნველყოფის ყველა საშუალება ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს

იყო მოთხოვნის დათმობისას. ხსენებული ხელშეკრულებებით, მოთხოვნების საერთო ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1656418 ლარი, რაც დღევანდელი მდგომარეობით ზ. რ-ს გადახდილი აქვს. შესაბამისად, თანხის გადახდის შემდეგ „ს-ს ბ-ს“ მოთხოვნა მ. გ-ის მიმართ არ გააჩნია და ეს უფლება გადაეცა უფლებამონაცვლე პირს -ზ. რ-ს. მაშინ სად არის მ. გ-ის ქმედებაში თადლითობა? ამიტომ განაჩენი მისთვის თანხის დაკისრების ნაწილშიც უკანონოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას თადლითობის ნაწილში, ხოლო რეალურად ჩადენილ დანაშაულს -სსკ-ის 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას -აღიარებს და ინანიებს.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის დამცველმა გ. ტ-მა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ მ. გ-ეს არავინ მოუტყუებია, მან გამოიყენა მხოლოდ 15 პირის სახელით ბანკიდან გამოტანილი თანხა -90 000 ლარი, ხოლო სხვა პირებს არ იცნობს და არც მათ მიერ გამოტანილი კრედიტი მიუღია.

ადვოკატის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა მ. გ-ემ და მიუთითა, რომ თადლითობა არ ჩაუდენია და რეალურად მიიღო მხოლოდ 90 000 ლარი, რომელსაც ფარავდა განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, დაკავებამდე.

ს.ს. „ს-ს ბ-ის“ იურიდიული სამსახურის იურისტმა დ. რ-მა განმარტა, რომ ბანკს მიადგა იმ ოდენობით ზიანი, რაც მითითებულია გასაჩივრებულ განაჩენში, მაგრამ დღეის მდგომარეობით სესხები დაფარულია და მ. გ-ისაგან ზიანის ანაზღაურებას ადარ ითხოვს, შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელზე უარი განაცხადა.

დ. რ-ის პოზიციას დაეთანხმა დაზარალებული ორგანიზაციის იურისტი მ. ც-ი.

პროკურორმა ლ. ქ-მა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა იმ მოტივით, რომ მ. გ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უდავოდ დასტურდება საქმის მასალებით. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი. სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით პროკურორმა აღნიშნა, რომ სარჩელზე უარი მოსარჩელის უფლებაა და ამასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება არ აქვს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზ. ა-ის მონაწილეობით რაიმე საგამომიებო მოქმედება არ ჩატარებულა, საქმეში არ მოიპოვება მის სახელზე გაცემული ორდერი და ამასთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ კასატორის მითითება უსაფუძვლოა.

საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას. ყველა დაკითხული მოწმე მიუთითებს, რომ ბანკიდან გამოტანილ თანხას გადასცემდნენ მ. გ-ეს. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა, ბანკის თანამშრომელი პირნათლად ასრულებდა თუ არა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ანაზღაურდა თუ არა მიყენებული ზიანი. უდავოდ დადგენილია, რომ მ. გ-ის მითითებითა და ხელშეწყობით სხვადასხვა პირები ყალბ ცნობებს აწვდიდნენ ბანკს, ხოლო მოვალეებს, ვის სახელზეც ფორმდებოდა ხელშეკრულება, მ. გ-ე ჰპირდებოდა თანხის გადახდას. ამასთან, მსჯავრდებული მოვალეებს ჰპირდებოდა დასაქმებას, ზოგს ეუბნებოდა, რომ თანხა სჭირდებოდა გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის, სხვებს -სწრაფი კვების ობიექტის გასახსნელად.

უსაფუძვლოა მსჯავრდებულის მითითება, თითქოს დაკავებამდე ფარავდა აღებული კრედიტის პროცენტებს. არაერთი მოწმის ჩვენებით, კრედიტის აღების შემდეგ დაუკავშირდნენ ბანკის წარმომადგენლები და აცნობეს, რომ თანხის პროცენტი არ იფარებოდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს და მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ამასთან, დაზარალებული ორგანიზაციის სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოება უნდა შეწყდეს, მასზე უარის გამო, სსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად.

გარდა ამისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. გ-ეს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან საბრალდებო დას-

კვნიდან და სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან გამომდინარე, მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა 2007 წლის 15 ნოემბრამდე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: „ამნისტის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. გ-ეს გაუნახვერდეს სსკ-ის 24-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამ მუხლით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

დაზარალებული ორგანიზაციის -ს.ს. „ს-ს ბ-ის“ სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და მ. გ-ეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტია

განჩინება

-697-აპ-10

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის განაჩენით გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (3 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 10 ოქტომბერს გ. რ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის დააჯარიმა 500 ლარით.

2008 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ გ. რ-ს შორის, რომლის თანახმადაც, გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი.

გ. რ-მა აღნიშნულიდან არ გამოიტანა სათანადო დასკვნა და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედებები, კერძოდ:

2008 წლის 5 მარტს გ. რ-ი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა თბილისში, წერეთლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და ლაბორატორიული

გამოკვლევის თანახმად დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2008 წლის 24 ივნისს გ. რ-ი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა თბილისში, მეტროს სადგურ „წერეთლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გადაიყვანეს ნარკოლოგიის კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევის თანახმად დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2009 წლის 18 თებერვალს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, პირობით მსჯავრდებული გ. რ-ი თბილისში, თამარ მეფის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიის კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და, ლაბორატორიული გამოკვლევის თანახმად, დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. რ-ს მიესაჯა 2008 წლის 5 მარტისა და 2008 წლის 24 ივნისის ეპიზოდებისათვის -1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გაუნახვერდა და განესაზღვრა 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 2009 წლის 18 თებერვლის ეპიზოდისათვის -1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გ. რ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო დაპატიმრების დღიდან; მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული საშუალების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც ითხოვა უკანონო და უსამართლო განაჩენის გაუქმება და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს გ. რ-ისათვის სასჯელის შემსუბუქება „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის გამოყენებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გ. რ-ს 2009 წლის 18 თებერვალს ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერდა „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე; დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 27 აპრილიდან; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული გ. რ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონი უნდა გამოეყენებინა არა მხოლოდ 2009 წლის 18 თებერვალს ჩადენილი ქმედების მიმართ, არამედ -დანარჩენი 2 ეპიზოდის მიმართაც; სააპელაციო სასამართლოს უნდა გაენახვერებინა განაჩენის დადგენილი დღისათვის -2010 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დარჩენილი სასჯელი -2 წელი, 4 თვე და 11 დღე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს დარჩენილი სასჯელის -2 წლით, 4 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთის განახვერებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, რასაც არც გ. რ-ი უარყოფს, ხოლო საქმის განხილვისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების ორი -2008 წლის 5 მარტისა და 24 ივნისის ეპიზოდები) დანიშნული სასჯელი -6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე -წინა განაჩენით განსაზღვრული სასჯელის -6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. რ-ს გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების ორი -2008 წლის 5 მარტისა და 24 ივნისის ეპიზოდები) დანიშნული სასჯელის მოსახდელი ნაწილი -6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. რ-ს გაუნახვერდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის -6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. რ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2010 წლის 27 აპრილიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტია

განჩინება

-614-აპ-10

7 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ქ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის განაჩენზე, რომლითაც კ. ქ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მარტის განაჩენით კ. ო. ქ-ი, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2010 წლის 2 თებერვლის ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით მის მიმართ შერაცხული პირობითი მსჯავრი -1 წელი და 6 თვე, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახვერდა. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს -1 წლით თავისუფლების აღკვეთას -მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -8 თვე, 23 დღე და განაჩენთა ერთობლიობით კ. ქ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 1 წლით, 8 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 2 თებერვლიდან.

კ. ქ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების,

ბებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

კ. ქ-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ და ამ დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენით კ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 21 აპრილის, 26 ივნისის, 2 ივლისის, 17 ივლისის, 29 აგვისტოს, 13 სექტემბრის ეპიზოდები), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად გაუნახვერდა და განესაზღვრა 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, კ. ქ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაევთალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

ადინიშნულის მიუხედავად, კ. ქ-მა კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ: 2010 წლის 2 თებერვალს, დაახლოებით 15.15 საათზე, მეტრო „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ვიზუალურად ეტყობოდა რა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ფაქტი, იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მუშაკებმა. ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტის შემოწმების მიზნით კ. ქ-ი გადაიყვანეს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ლაბორატორიული კვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების - „ოპიუმის ჯგუფის“ მოხმარების ფაქტი.

აპელანტმა კ. ქ-მა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა კ. ქ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ქ-ს დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახვერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ კ. ქ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, ნარკოლოგიური შემოწმების -... დასკვნით, მოწმეების -გ. ჭ-ისა და დ. ქ-ას ჩვენებებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განაჩენითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის შეცვლას ან გაუქმებას.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 28 აგვისტოს -840 განკარგულებით მსჯავრდებული კ. ქ-ი შეწყალებულ იქნა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით შეფარდებული სასჯელიდან (1 წლით, 8 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთიდან) მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -1 წელი, 1 თვე, 27 დღე -გაუნახვერდა და სასჯელად განესაზღვრა 6 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ადინიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ქ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 28 აგვისტოს -840 განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულ კ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით შეფარდებული სასჯელიდან (1 წლით, 8 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთიდან) მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი -1 წელი, 1 თვე, 27 დღე -გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ქ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს 2010 წლის 28 აგვისტოდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. გაუფრთხილებელი დანაშაული

განჩინება

-81-აპ-10

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ნ. ჩ-ას, გ. გ-ის და თ. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განაჩენით ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება და მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის იანვარში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ა. გ-მა თბილისში, ... ქ-ის ქუჩაზე მდებარე ბარ „...-ში“ გაიცილა ა. ხ-ა და იმ დღიდან მათ შორის ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. მოგვიანებით ა. გ-მა მას სიყვარული აუხსნა. აღნიშნულის შემდეგ ა. გ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ა. ხ-ას ადრე ჰყავდა შეყვარებული გ. ჩ-ი, რომელიც მას აყენებდა შეურაცხყოფას და უვრცელებდა სხვადასხვა ჭორს. ამით გაღიზიანებულმა ა. გ-მა გადაწყვიტა შურისძიება და გ. ჩ-ის მოკვლა. დასახული მიზნის განსახორციელებლად მან ა. ხ-ას გამოართვა გ. ჩ-ის მობილური ტელეფონის ნომერი, ხოლო გოგონას უთხრა, რომ სურდა ურთიერთობის გარკვევა და გასაუბრება. ამის შემდეგ ა. გ-მა დაურეკა გ. ჩ-ს, უთხრა, რომ იყო ა. ხ-ას საქმრო და ურთიერთობის გასარკვევად სურდა მასთან შეხვედრა, რაზედაც გ. ჩ-ი დასთანხმდა და შეთანხმდნენ შეხვედრაზე 2008 წლის 28 მარტს, 20 საათზე, თბილისის - საჯარო სკოლასთან. ა. გ-მა მას ასევე უთხრა, რომ შეხვედბოდა თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად და შესთავაზა, მასაც ვინმე წამოეყვანა.

2008 წლის 28 მარტს ა. გ-ი დაუდგენელ პირთან ერთად შეიარაღდა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი ცეცხლსასროლი იარაღებით, რომლებსაც ასევე უკანონოდ ინახავდნენ და ატარებდნენ. მათ ჯგუფურად გადაწყვიტეს, შური ეძიათ გ. ჩ-ზე. ამ მიზნით ისინი დაიმაღნენ თბილისში, ბ-ის ქ. -3-ის სადარბაზოში. შეთანხმებისამებრ, ტელეფო-

ნის გამოყენებით ა. გ-მა შეიტყუა გ. ჩ-ი და მისი თანმხლები პირები ზემოაღნიშნულ ადგილზე, კერძოდ: 2008 წლის 28 მარტს, დაახლოებით 21 საათზე, გ. ჩ-თან სატელეფონო საუბრისას, ა. გ-მა შეიტყო, რომ გ. ჩ-ი მეგობრებთან ერთად უკვე ელოდა დათქმულ ადგილზე. ა. გ-მა მას უთხრა, რომ თითქოს მოდიოდა სამარშრუტო ტაქსით და სთხოვა, დალოდებოდნენ ფ-ის -31-ში არსებულ „არკაში“, სადაც მართლაც მივიდნენ გ. ჩ-ი, გ. რ-ი და კ. მ-ე. ა. გ-მა ისინი შეიტყუა ბ-ის ქუჩის -3-თან და თანმხლებ პირთან ერთად, განზრახ მოკვლის მიზნით, მათი მიმართულებით გაისროლეს. მათ გ. ჩ-სა და კ. მ-ეს არაახლო მანძილიდან მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ხოლო გ. რ-ს, მიუხედავად მცდელობისა, დაზიანება ვერ მიაყენეს, რადგან მან სროლისას შეძლო მიმალვა. სროლების შედეგად ა. გ-მა და მისმა თანმხლებმა პირმა ეზოში მდგარ, ი. ნ-ის კუთვნილ „შკოდა ოქტავიას“ მარკის ავტომანქანას მიაყენეს დაზიანებები, რითიც დაზარალებულ ი. ნ-ეს მიადგა 250 ლარის მატერიალური ზიანი. განზრახვის განხორციელების შემდეგ ბოროტმოქმედები მიიმალნენ, ხოლო დაჭრილები გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად სიკვდილს გადარჩნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. გ-ს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა -1000 ლარი, რომლის მოხდისაგან იგი გათავისუფლდა „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე; მას სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დაწინაურებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წელი, 9 თვე და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 18 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ა. გ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 24 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა -ნ. ჩ-ამ და გ. გ-მა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და ა. გ-ის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები -ნ. ჩ-ა და გ. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი აგებულია მხოლოდ ვარაუდებზე და საქმეში არ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები ა. გ-ის ბრალეულობის დასადასტურებლად; საქმეში არ არის პირდაპირი მოწმე-უშუალო თვითმხილველი და ა. გ-ის დანაშაულებრივი ქმედების შემსწრე; არ არსებობს დანაშაულის იარაღი, როგორც ნივთმტკიცება.

კასატორთა განმარტებით, სასამართლომ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებებს შორის მიიჩნია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიც, რომელიც ადასტურებს მხოლოდ ფაქტს, რომ იმ ადგილზე მოხდა დანაშაული და ვერაფრით ვერ ადასტურებს ა. გ-ის მიერ ამ დანაშაულის ჩადენას, რადგან შემთხვევის ადგილზე ვერც ერთი მტკიცებულება -თითის ანაბეჭდი, სისხლის კვალი, რაიმე საგანი -ვერ ამოიღეს; დაზარალებულებმა ვერ ამოიცნეს ა. გ-ი; გ. ჩ-ის განმარტებით, ადამიანები, რომლებიც მათ ესროდნენ, იყვნენ ტანდაბლები, მსჯავრდებული კი ლამის ორი მეტრი სიმაღლისაა და საკმაოდ ჩაფსკვნილიც. ა. გ-მა მხოლოდ ა. ხ-ასთან (და არა -მეგობრებთან) აიღო თავის თავზე გ. ჩ-ის დაჭრა და დაიბრალა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა, რადგან არასრულწლოვნობის ასაკის დამახასიათებელია „თავის გამოჩენის სინდრომი“.

რაც შეეხება სატელეფონო საუბრების კრებსებს, მათ მტკიცებულებითი ხასიათის დამადასტურებელი -სპეციალისტის ან თანამდებობის პირის ხელმოწერა არა აქვს; გამოძიებას, სპეციალისტთან ერთად, საქართველოს სსსკ-ის 333-ე, 338-ე და 339-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, არ მოუხდენია ფონოგრამის დათვალიერება, მოსმენა, მისი ტექსტობრივი გაშიფრვა და არ შეუდგენია სათანადო ოქმი; გამოძიებას არ დაუდასტურებია აღნიშნული მიყურადების შედეგად მიღებული ტექსტის ჭეშმარიტება ფორზე არსებულის იდენტიფიკაციის სახით, ანუ მასზე არ ჩატარებულა ფონოტაპიური ექსპერტიზა, რომელიც დაადასტურებდა ა. გ-ის საუბარს; ფარული მიყურადების ფურცლებზე მოსაუბრეთა ვინაობა გამოძიებას დადგენილი აქვს თავიანთი შეხედულებით, სინამდვილეში კი მოცემული ტელეფონებით სარგებლობა შეუძლიათ არა მხოლოდ მათ მგლობელებს, არამედ -პირთა ფართო წრეს, ვისაც კი ხელი მიუწვდება ამ ტელეფონზე, რეალურ მგლობელთან ნათესაური, მეგობრული თუ სხვა კავშირებიდან გამომდინარე; მსჯავრდებულის ჩვენებით, დანაშაულის დღეს მისი ტელეფონი ჰქონდა მეგობარს -ი. კ-ეს, ხოლო ნომერი, რომლითაც სარგებლობდა ა. გ-ი, გაფორმებულია ვინმე მ. გ-ზე, მსჯავრდებულის მამიდაზე და გარკვეულ პერიოდში მისი ოჯახის წევრებიც სარგებლობდნენ ამ ნომრით; სასამართლო სხდომაზე დაზარალებულებმა უარყოფითი პასუხი გასცეს კითხვაზე, იყო თუ არა ა. გ-ის ხმა სატელეფონო საუბრებისას

მათ მიერ მოსმენილი ხმის იდენტური. გამოძიებას თავიდანვე უნდა ჩაეტარებინა ფონოსკოპიური ექსპერტიზა. საქმეს არ ახლავს თითქოსდა ა. გ-ის საუბრის ჩანაწერი ფონოგრამის დისკის სახით, რომელიც დაცვას მისცემდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას, რადგან აღნიშნული მტკიცებულება უკანონოდ და უსაფუძვლოდ განადგურდა და ამით მოგებულნი დარჩნენ რეალური დამნაშავეები, რომელთა მიმართ დაიკარგა სამხილი; ყოველივე ეს იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ წინასწარი გამოძიება ჩატარდა მიკერძოებულად, ცალმხრივად და მტკიცებულება შეგნებულად განადგურდა; სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ყოველივე დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული, ვინაიდან მტკიცებულება მიღებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით და პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ ბრალდებას მტკიცებულების სახით მითითებული აქვს ბალისტიკური ექსპერტიზა, მაშინ, როდესაც იარაღი არ ამოღებულა, სახეზე არა გვაქვს ნივთმტკიცება, გაურკვეველია, რომელი იარაღიდანაა ნასროლი ტყვიები, ვისი იყო იარაღი, რომელ თავდამსხმელს ეჭირა, რომელი იარაღი იხმარა ა. გ-მა (თუ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე), ვის მიერაა თითოეული დაზარალებული დაჭრილი. ვარაუდითაც კი არ მოიაზრება, ა. გ-ის გასროლილი ტყვია გ. ჩ-ს მოხვდა თუ -კ. მ-ეს. მსჯავრდებულს არც იარაღი ჰქონია და არც გამოუყენებია; ბრალდება ვერ უთითებს, თუ რა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის შექმენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად მსჯავრდებულს; მისი ბინის ჩხრევისას ვერ ამოიღეს ვერანაირი სამხილი; თუ არ არსებობს ა. გ-ის შემთხვევის ადგილზე ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულება, გამორიცხულია მის მიერ სსსკ-ის 188-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულის არსებობაც.

გარდა აღნიშნულისა, საქმეშია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებიც, კერძოდ: საქმე აღიძრა 2008 წლის 28 მარტს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს 1-ელ განყოფილებაში; 2008 წლის 23 აპრილს ეს საქმე აღმოჩნდა თბილისის შს მთავარი სამმართველოს წარმოებაში, რითიც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 63-ე მუხლის მოთხოვნები ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ; საქმეში კი არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც დადასტურებდა, თუ რა მიზეზითა და მიზნით გადაეცა საქმე ერთი უწყებიდან მეორეს; ვინაიდან არასრულწლოვან ა. გ-ს ბრალდება წარედგინა სსსკ-ის 281-ე მუხლის მოთხოვნათა აშკარა დარღვევით, რადგან ბრალდების წასაყენებლად არ არსებობდა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, დაცვამ დააყენა შუამდგომლობა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ, რომლის პასუხადაც მოვიდა თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს 1-ლი განყოფილების დეტექტივის თანაშემწის, გამომძიებელ მ. ჩ-ის 2008 წლის 29 აპრილით დათარიღებული დადგენილება ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ საფუძველით, რომ ა. გ-ის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით; საქართველოს სსსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა განეკუთვნება პროკურორის კომპეტენციას და პოლიციის გამომძიებელს ასეთ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია; გარდა ამისა, გამომძიებელი თავისი მსჯელობით, სასამართლო გამოძიების გარეშე, წინასწარ აცხადებს ა. გ-ს დამნაშავედ, რითიც დარღვეულია სსსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ.

დაზარალებულ გ. ჩ-ის ჩვენებით, 2008 წლის 28 მარტს მას დაუკავშირდა ვინმე „ი.“, რომელსაც შეუთანხმდა ფ-ის ქუჩაზე შეხვედრაზე; აღნიშნული ემთხვევა ა. გ-ის ჩვენებას, რომ დანაშაულის დროს იგი სიციხიანი სახლში იწვა, ხოლო მისი მობილური ტელეფონი დროებით წაღებული ჰქონდა თავის მეგობარ ი. კ-ეს; გამოძიებას არ სურს დაიჯეროს ი. კ-ის არსებობა და ა. გ-ის გარდა, არც არავის დადგენა და დანაშაულში მხილება აინტერესებთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ასეთი პირები პოლიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადდებიან. სს საქმის მე-3 ტომში არსებულ, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი სამმართველოს უფროსის -გ. ხ-ის წერილებში აღნიშნულია, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გ. ჩ-ისა და სხვათა მკვლელობის მცდელობა ა. გ-მა ჩაიდინა გ. ჟ-სა და ვინმე „პ-სთან“ ერთად, თუმცა გამომძიებლებს მათ პასუხისგებაში მისაცემად არაფერი გაუკეთებიათ.

ბრალდების მხარის მტკიცებით, ა. გ-ი თურმე დანაშაულის ჩადენამდეც ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს, რაც დადასტურებული ყოფილა არასრულწლოვანი მოწმეების -ა. და ნ. ბ-ეების ჩვენებებით; ეს ჩვენებები არ შეიძლება მტკიცებულებად ჩაითვალოს, რადგან სასამართლო გამოძიებისას დადასტურდა, რომ წინასწარ გამოძიებაში მათზე განხორციელდა ზეწოლა, რის შესახებაც სასამართლოს წერილობითი განცხადებით მიმართა ა. და ნ. ბ-ეების კანონიერმა წარმომადგენელმა -დედამ; მაგრამ, თუ ვირწმუნებთ, რომ იარაღი ნამდვილი იყო, მაშინ ბ-ძეები მის ტარებაში ამხელენ არა ა. გ-ს, არამედ -მათ საერთო ნაცნობ ი-ს, რომელმაც სახლიდან ჩაიტანა იარაღი და

რომლის ვინაობითაც გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა, ე.ი. გამოძიება შეგნებულად არ ეძებს რეალურ დამნაშავეს.

კასატორთა განცხადებით, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული; ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი, ასევე -პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები; გულდასმით უნდა შემოწმდეს ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატები -ნ. ჩ-ა და გ. გ-ი ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ა. გ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია ჩამოართვას საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს საგამომძიებო ქვემდებარეობის შესახებ მოთხოვნათა დაცვით. მოცემულ შემთხვევაში საქმე გამოსაძიებლად გადაეცა შსს-ს თბილისის მთავარ სამმართველოს და უსაფუძვლოა კასატორთა მითითება ტერიტორიულ საგამომძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე.

მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა გასაჩივრებული განაჩენი, მოპოვებული და გამოკვლეულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული ა. გ-ის მიერ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ:

მსჯავრდებული არ უარყოფს, რომ მომხდარის წინა დღეს ტელეფონით ესაუბრა გ. ჩ-ს, გაეცნო როგორც ა. ხ-ას მეგობარი და სთხოვა, გოგონასათვის თავი დაენებებინა, თუმცა მეორე დღეს გ. ჩ-ს არ შეხვედრია.

გ. ჩ-ის განმარტებით, სატელეფონო საუბრისას უცნობმა პირმა უთხრა, რომ იყო ა. ხ-ას საქმრო და უნდა ვისაუბროთო. შეთანხმდნენ შეხვედრაზე. მეორე დღეს გ. ჩ-ი ტელეფონის იმავე ნომერზე რამდენჯერმე დაუკავშირდა უცნობს, რადგან ეს უკანასკნელი დათქმულ ადგილზე არ დახვდა. შემდეგ უცნობმა უთხრა, რომ - სკოლასთან შესულიყვნენ არკაში. იქ მისვლისას სადარბაზოდან გაისმა სროლის ხმები და ტყვია მოხვდა ფეხში, მუხლთან. მოგვიანებით იმავე პიროვნებამ, ტელეფონის იმავე ნომრიდან დაურეკა და მოიკითხა -ფეხი როგორ გაქვს, შევრიგდეთო.

ანალოგიური ჩვენება მისცა დაზარალებულმა კ. მ-ემ და ასევე მიუთითა, რომ ტყვიები მოხვდა ხელ-ფეხში.

მოწმე ა. ხ-ა მიუთითებს, რომ ა. გ-მა უამბო თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ კონკრეტული დეტალების მითითებით, რაც ემთხვევა დაზარალებულთა ჩვენებებს და უტყუარად დადგინო ფაქტობრივ გარემოებებს და რაც შეიძლებოდა სკოდნოდა მხოლოდ დამნაშავეს. მოწმემ ისიც აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის გადმოცემით, იგი და მისი თანამზრახველი იდგნენ სადარბაზოში, სიბნელეში, სადარბაზოს ორი გასასვლელი ჰქონდა და ისე რომ არც უსაუბრიათ, ესროლეს გ. ჩ-ს და მის მეგობრებს. საგულისხმოა, რომ ა. ხ-ა ჩვენებით მომხდარი ფაქტისთანავე, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე დაუკავშირდა ა. გ-ი და უამბო ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, ხოლო პოლიციას დანაშაულის შესახებ შეატყობინეს 23 საათსა და 51 წუთზე. ამასთან, ა. გ-მა ა. ხ-ას სთხოვა გაერკვია, რამდენი პირი იყო დაჭრილი.

ა. ხ-ას ჩვენებების ობიექტურობა დასტურდება მოწმეების -ნ. და ა. ბ-ეების განმარტებებით. რაც შეეხება მათზე ზეწოლას, რაზეც აპელირებენ კასატორები, ამგვარი საქმეზე დაკითხულმა ყველა პირმა უარყო.

სატელეფონო საუბრების კრებსების ობიექტურობა დასტურდება არაერთი მოწმის, მათ შორის ნაწილობრივ თავად მსჯავრდებულის ჩვენებებითაც. ეს უკანასკნელი არ უარყოფს, რომ დანაშაულის შესახებ ა. ხ-ას უყვებოდა ტელეფონით, ხოლო საქმის წინასწარი გამოძიებისას მას ამოუღეს ტელეფონის ის ნომერი, რომელსაც იყენებდა და რომელიდანაც თავდაპირველად დაუკავშირდა გ. ჩ-ს. დაკითხული სხვა პირებიც ადასტურებენ მომხდართან დაკავშირებით ა. ხ-ასა და ა. გ-ს შორის ხშირ სატელეფონო საუბრებს.

ის, რომ საქმის გამოძიებისას ვერ იქნა ამოღებული დანაშაულის იარაღები მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, რადგან აშკარაა დანაშაულის ჩასადენად ორი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

პალატა განმარტავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს გაუფრთხილებელი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში არ არის დადგენილი, ა. გ-ის თუ მისი თანამზრახველის მიერ ნასროლი ტყვიით დაზიანდა ავტომანქანა, შესაბამისად, დაუდგენელია მიზეზობრივი კავშირი მსჯავრდებულის ქმედებასა და შედეგს შორის. ამის გამო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ა. გ-ის სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ა. გ-ის ნასამართლობის შესახებ, რადგან მის მიმართ განაჩენი გამოტანილია 2008 წლის 23 აპრილს -ბოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შესაბამისად, ა. გ-ს დანაშაული არ ჩაუდენია გამოსაცდელ ვადაში და სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, გაეუქმებინა პირობითი მსჯავრი. აღსანიშნავია, რომ წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადაში ა. გ-ს მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2008 წლის 13 თებერვლიდან იმავე წლის 16 თებერვლამდე და მას მოსახდელი ჰქონდა 3 წელი, 8 თვე და 27 დღე, ნაცვლად განაჩენში მითითებული 3 წლის და 9 თვისა.

დანიშნულის მიუხედავად, არასრულწლოვან ა. გ-ისათვის დანიშნული საბოლოო სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მას მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით დანიშნული აქვს სასჯელი მინიმუმი, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -8 თვით, ხოლო მე-2 ნაწილით -3 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, საბოლოო სასჯელი განსაზღვრულია განაჩენთა ერთობლიობით, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით და მისი შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

გასაჩივრებული განაჩენით არასწორად გადაწყდა ცალკეულ ნივთმტკიცებათა საკითხი, კერძოდ, საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოღებული 9 მასრა და 4 ტყვიის გულა, რომლებიც ვარგისია იდენტიფიკაციისათვის, უნდა ინახებოდეს შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ტყვიამასროთეკაში, რადგან დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღები ვერ იქნა აღმოჩენილი, ხოლო მსჯავრდებულის თანამონაწილე დაუდგენელი პირის მიმართ საქმე გამოყოფილია ცალკე წარმოებად.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ნ. ჩ-ას, გ. გ-ის და თ. რ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ა. გ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის გამოსაცდელ ვადაში ჩადენის შესახებ;

ა. გ-ს განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე -3 წლით, 8 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით;

სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ა. გ-ს საბოლოოდ მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ნივთმტკიცებები -9 მასრა და 4 ტყვიის გულა ინახებოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ტყვიამასროთეკაში;

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დენადი დანაშაული

განჩინება

-178-აპ-10

5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ის ადვოკატ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება (2 ეპიზოდი); ასევე -ყაჩაღობა ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე -სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება და ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის თებერვალში ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მცხოვრები გ. მ-ე დაუკავშირდა დაუდგენელ ორ პირს, რომლებთან ერთადაც განიზრახა, ყაჩაღურად თავს დასხმოდა ოზურგეთის რაიონის დაბა ...-ში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მყოფ ვ. ტ-ს და გაეტაცებინა მისი კუთვნილი „ვაზ-2108“ მარკის ავტომანქანა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 1 თებერვალს გ. მ-ე დაუდგენელ პირთან ერთად მივიდა ვ. ტ-თან და სთხოვა, 7 ლარის საფასურად წაეყვანა ისინი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ...-ში, რაზეც ვ. ტ-ი დასთანხმდა. სოფელ ...-თან მოძრაობისას, გზაში, სოფელ ...-ის ტერიტორიაზე, დაახლოებით 16.30 საათზე, დაუდგენელმა პირმა ამოიღო თანაქონი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და გ. მ-ესთან ერთად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულა ვ. ტ-ი, გაეჩერებინა მანქანა, გადაეცა მათთვის ავტომანქანის საბუთები და გადასულიყო მანქანიდან; ისიც დაემორჩილა მათ მოთხოვნას, გააჩერა მანქანა და გადავიდა, რის შემდეგაც გ. მ-ემ და დაუდგენელმა პირმა გაიტაცეს ავტომანქანა, „სიმენსის“ ფირმის მობილური ტელეფონი მასში გააქტიურებული და „ჯეოსელი“ ქსელში ჩართული ნომრით, პირადობისა და მართვის მოწმობები, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და თანხა -12 ლარი. გ. მ-ე დაჯდა საჭესთან და გამტაცებლები გაემართნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ...-ში, შემდეგ კი -ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ის მიმართულებით. სოფელ ...-ის ტერიტორიაზე გადაადგილებისას საავტომობილო გზაზე მათ შეხვდათ საქართველოს შს სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოპერატიული მუშაკებისაგან შემდგარი ეკიპაჟი, რომელთა დანახვაზე ბოროტმოქმედებმა მიატოვეს ვ. ტ-ის კუთვნილი ავტომანქანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გ. მ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 1974 წლის ნიმუშის, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის, „აკ-74“ მოდელის ავტომატური იარაღი, მისთვის განკუთვნილი 22 საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც 2009 წლის 1 მაისამდე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საკარმიდამო ეზოში მდებარე დამხმარე სათავსში, ასევე პერიოდულად ატარებდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე და გამოიყენა დანაშაულის ჩადენის დროს, კერძოდ: 2009 წლის აპრილში გ. მ-ე დაუკავშირდა დაუდგენელ ორ პირს და მათთან ერთად განიზრახა, ყაჩაღურად თავს დასხმოდა ოზურგეთის რაიონის სოფელ - მცხოვრებ ს. ჩ-ას ოჯახს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. მ-ე შეიარაღდა წინასწარ შეძენილი ავტომატით, ხოლო დაუდგენელი პირები - „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებით და 2009 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 22.15 საათზე, ყაჩაღურად თავს დაესხნენ თავის სახლში მყოფ ს. ჩ-ას, რა დროსაც მას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის მუქარით მოსთხოვეს ფულისა და ოქროსგანთავის გადაცემა, რაზეც მიიღეს უარი. ამის შემდეგ თავდასხმელებმა საცხოვრებელ სახლში დაიწყეს ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნა და, როდესაც ვერაფერი აღ-

მოაჩინეს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს და შემთხვევის ადგილიდან მიმალნენ.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 1 მაისის ბალისტიკური ექსპერტიზის -451\ზ დასკვნით, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის, „აკ-74“ მოდელის ავტომატი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის, ასევე ვარგისია გამოსაყენებლად ამ იარაღისათვის განკუთვნილი 22 ცალი ვაზნა.

გ. მ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 2008 წლის 21 ივლისს ოზურგეთის რაიონის დაბა . . . , ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სს „...“ ქუთაისის ფილიალის ინკასაციის ავტომანქანაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს ინკასატორ ი. მ-ისაგან გატაცებული და მასზევე გაპიროვნებული „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, „ნაგანის“ სისტემის უნომრო რევოლვერი 6 ცალი ვაზნით და „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა თავისივე ფალით, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში და პერიოდულად ატარებდა. 2009 წლის 23 მაისს გ. მ-ემ ხელჩანთაში ჩააწყო ხელყუმბარა ფალით და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, წელის არეში გაიკეთა „ნაგანის“ სისტემის უნომრო რევოლვერი და დაახლოებით 19.50 საათზე „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის მიკროავტობუსით, რომელსაც მართავდა გ. შ-ე, წავიდა თავისი სახლიდან. შემოადინიშნული ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის ტარების დროს საქართველოს შს სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს გ. მ-ე, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს შემოადინიშნული იარაღები და საბრძოლო მასალა, რომლებიც, ბალისტიკური ექსპერტიზის -17\ფ და -158\ზ დასკვნებით, ვარგისია გამოსაყენებლად.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -6 ათასი ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 23 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ს. ა-ემ. მათ ითხოვეს გ. მ-ის გამართლება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით (ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით -სასჯელის შემცირება მინიმუმამდე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 იანვრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: გ. მ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით.

კასატორი -ადვოკატი ნ. მ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან საქმის განხილვის დროს დაშვებულია სამართლებრივი პროცედურების დარღვევები, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; გ. მ-ემ აღიარა „მაკაროვის“, „ნაგანისა“ და ხელყუმბარის შენახვისა და ტარების ფაქტი და განმარტა, რომ აპირებდა მათ ჩაბარებას სამართალდამცავ ორგანოში, მაგრამ გზად ის დააკავეს; რაც შეეხება ყაჩაღობებსა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შემენა-შენახვა-ტარებას, მათთან შეხება არ ჰქონია. სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 535-ე, 496-ე, 503-ე და 508-ე მუხლების მოთხოვნები; გ. მ-ეს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე შეერაცხა ს. ჩ-აზე ყაჩაღური თავდასხმის ბრალდება, რადგან არც მისი ანაბეჭდი ამოუღიათ ბინიდან და არც მოწმეები და დაზარალებული მიუთითებენ მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; მოცემულ ფაქტთან მიმართებით განაჩენი დადგენილია მხოლოდ ვარაუდზე. საქმეში არ არსებობს არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა გ. მ-ის მიერ ავტომატური იარაღის ტარების ფაქტს; უნდა აღინიშნოს, რომ იარაღზე ასევე არ აღმოჩნდა მსჯავრდებულის თითის ანაბეჭდები. ნებისმიერს შეეძლო ღია ბოსელში ავტომატის დატოვება, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში გ. მ-ე იზვიათად ათევდა ღამეს საკუთარ სახლში. ამ ავტომატის ამოღებაც მოხდა სსსკ-ის 323-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რის გამოც იგი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა მიჩნეულიყო. სასამართლომ განაჩენში არ მიუთითა, თუ რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ცნო დანაშაულს გ. მ-ე ავტომატის ტარებასა და ს. ჩ-აზე ჩადენილ ყაჩაღობაში; ასეთ მტკიცებულებას სასამართლო ვერც მიუთითებდა, რადგან საქმეში არ მოიპოვება.

კასატორის აზრით, ასევე ეჭვებსა და ვარაუდზეა დამყარებული განაჩენი ვ. ტ-ის ავტომანქანის გატაცების ნაწილშიც. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმეში არსებული მტკიცებულებები ვერ უზრუნველყოფს გ. მ-ის ამ დანაშაულში მონაწილეობის უტყუარობას. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევითაა ჩატარებული ავტომანქანის დათვალიერების, ამოღებისა და ამოცნობის ოქმები, ასეთ შემთხვევაში ამოღებულ საგანს კი მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. მ-ე ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანასა და გ. მ-ის ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტების, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების (ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა-შენახვა-ტარების ნაწილში) ამორიცხვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მტკიცებულებათა კანონდარღვევით მოპოვების შესახებ. მსჯავრდებულის სახლსა და საკარმიდამო ნაკვეთში ჩხრეკა ჩატარდა დამსწრეთა და გ. მ-ის მეუღლის მონაწილეობით, რა დროსაც ამოღებულ იქნა ავტომატი მჭიდითა და 22 ვაზნით. საგამომიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ და ოქმს ხელი მოაწერეს. ჩხრეკის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარება პირველი ინსტანციის სასამართლოში დაადასტურეს დამსწრე პირებმა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას დაზარალებულმა ს. ჩ-ამ ამოიციო ავტომატი, რომელიც თავდასხმისას ერთ-ერთ ბოროტმოქმედს თან ჰქონდა. ამასთან, დაზარალებულის სახლში აღმოჩენილი მასრები გასროლილია გ. მ-ის სახლის ჩხრეკისას ამოღებულ ავტომატში.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ავტომანქანიდან ამოღებული ხელის თითის ერთი კვალი დატოვებულია გ. მ-ის მარჯვენა ხელის შუა თითით, ხოლო ამავე ავტომანქანიდან ამოღებული 5 მასრა გასროლილია გ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებულ,

„მკაროვის“

სისტემის

- 8218 პის-

ტოლექტში. გარდა ამისა, მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციელმა გ. გ-ამ სასამართლოს განუმარტა, რომ გატაცებულ ავტომანქანაში იჯდა ორი ბოროტმოქმედი, მათ შორის -გ. მ-ე და დევნის მიუხედავად, თავდამსხმელებმა შეძლეს მიმალვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. მ-ემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა, ტარების ბრალდების ნაწილში არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ:

პალატის მიერ განმარტებულია, რომ პირმა შესაძლოა ერთდროულად, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინოს და შეინახოს არაერთი ცეცხლსასროლი იარაღი და პერიოდულად რომელიმე მათგანი უკანონოდ ატაროს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს ამ ქმედებების ცალ-ცალკე, ერთი და იგივე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარება ერთიანი -დენადი დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, რაც ამ ნივთების პირის მფლობელობიდან გასვლას (ამოღებას, გასაღებას, ჩაბარებას ან დაკარგვას) გულისხმობს. პირის ქმედებების რამდენიმე, ერთი და იგივე მუხლით -236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით დაკვალიფიცირების საფუძველს წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღების შემდეგ იარაღის კვლავ შექმნა-შენახვა და ტარება. მოცემულ შემთხვევაში დაუდგენელია, ამოღებული იარაღები და საბრძოლო მასალა გ. მ-ემ ერთდროულად შეიძინა თუ სხვადასხვა დროს, ხომ არ ჰქონდა ადგილი განგრძობად დანაშაულს, რაც პირის ქმედების რამდენიმე, ერთი და იგივე მუხლით დაკვალიფიცირებას გამოირიცხავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამორიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი.

გარდა ამისა, განაჩენიდან უნდა ამორიცხოს მითითება გ. მ-ის მიერ „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარისა და ფალიის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარების შესახებ, რადგან ეს საგნები სავარაუდოდ ვარგისია გამოსაყენებლად.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ხოლო სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამატყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. მ-ის ადვოკატ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განაჩენიდან გ. მ-ის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი, ასევე - მითითება მსჯავრდებულის მიერ "ფ-1" ტიპის ხელყუმბარისა და ფალიის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების შესახებ;

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდების ეპიზოდში გ. მ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და განესაზღვროს: 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1000 ლარი, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. მ-ეს საბოლოოდ მიესაჯოს 21 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -3000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სასჯელი

სასჯელის შემცირება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო

განჩინება

-939-აპ-09

9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით ვ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 17 თებერვლიდან.

ვ. ჯ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით: საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

სს „პ-ში" სარჩელის უზრუნველსაყოფად ვ. ჯ-ის დაყადაღებული საბანკო ანგარიში -... , საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დარჩა დაყადაღებული.

დამტკიცდა 2009 წლის 5 ივნისს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ ვ. ჯ-სა და განსასჯელ გ. მ-ეს შორის.

იმავე განაჩენით გ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც იმავე კოდექსის 55-ე მუხლისა

და 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მას სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით გ. მ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2009 წლის 17 თებერვლიდან -19 თებერვლის ჩათვლით.

გაუქმდა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, გ. მ-ეს ჩამოერთვა ნივთმტკიცებად ცნობილი 600 აშშ დოლარი, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ პირს, საფინანსო სააგენტოს.

გ. მ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ვ. ჯ-ეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებაში.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ვ. ჯ-ემ დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით -14,7194 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საიდანაც ნაწილი -0,3344 გრამი, ანუ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2009 წლის 17 თებერვალს უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ გ. მ-ეზე, რაც ამოღებულ იქნა პირადი ჩხრეკისას.

2009 წლის 17 თებერვალს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, დააკავეს ვ. ჯ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით -3,4625 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას -განსაკუთრებით დიდი ოდენობით -10,9225 გრამი, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

სულ ვ. ჯ-ემ უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით -14,7194 გრამი ნარკოტიკული საშუალება -„ჰეროინი“, საიდანაც ნაწილი, დიდი ოდენობით -0,3344 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ გ. მ-ეზე.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ვ. ჯ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

სააპელაციო საჩივარში აპელანტებმა აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ჩხრეკა ჩატარდა დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე და ითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა აღიარა დანაშაული და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება, რასაც მხარი დაუჭირა მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

პროკურორმა მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენი დარღვა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. ჯ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა -ადვოკატმა გ. მ-ემ საჩივარში აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, სასამართლოზე განხილული მტკიცებულებები მოპოვებულია კანონის უხეში დარღვევით. ამდენად, მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა, ალტერნატივის სახით კი -განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ვ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის (წინააღმდეგ შემთხვევაში -საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების) შესახებ, უსაფუძვლოდ გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების: შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებლის -მ. ბ-ის, თ. ო-ის, ლ. ქ-ის ჩვენებებით, განსასჯელ გ. მ-ის ჩვენებით, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის -223 ს/ქ დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით ვ. ჯ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლო გამოძიებაში მსჯავრდებულმა თავი არ ცნო დანაშაუდ და აღნიშნა, რომ მისი პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები მას არ ეკუთვნის, მაგრამ სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას ვ. ჯ-ემ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

პალატა ითვალისწინებს რა მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი პირველად სასამართლოში, არ არის ნარკოტიკების მომხმარებელი, ჰყავს ორი შვილი, რომლებსაც ზრდის მეუღლის გარეშე; მისი დაკავების შემდეგ დედამისმა -ნ. ჯ-ემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მისი შვილები დარჩნენ უმეთვალყურეოდ, მეზობლები მას ახასიათებენ დადებითად და შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ ვ. ჯ-ეს შეფარდებული სასჯელი -12 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს 4 წლით და სასჯელად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი ვ. ჯ-ის მიმართ უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. ჯ-ეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი -12 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს 4 წლით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო

განჩინება

-931-აპ-09

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. რ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განაჩენით ლ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რისთვისაც სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 9 მარტიდან.

განაჩენით ლ. კ-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ე.ი. განზრახვი ქმედება, რომელიც მიმართული იყო სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისაკენ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 8 მარტს ლ. კ-ე და გ. ს-ე წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ფარულად დაუფლებოდნენ ზესტაფონის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ დ. რ-ის კუთვნილ ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ლ. კ-ე და გ. ს-ე მივიდნენ დ. რ-ის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს სახლის მეორე სართულზე და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ დ. რ-ის კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: 30 ლარად ღირებულ ელექტროჩაიდანს, 15 ლარად ღირებულ პატარა ზომის თასების კომპლექტსა და 40 ლარად ღირებულ ყავის სერვისს. მსჯავრდებულებმა დანაშაულებრივი განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში, ვინაიდან დაზარალებულმა და მისმა ოჯახის წევრებმა გაიგონეს ხმაური. დაზარალებულმა ადგილზე დააკვა ლ. კ-ე, ხოლო გ. ს-ე გადახტა ფანჯრიდან და მიიმალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის რაიონის პროკურატურის პროკურორმა კ. ს-ემ, რომელმაც ითხოვა განაჩენში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილების შეტანა, კერძოდ: ლ. კ-ის თავისუფლების აღკვეთის სახით 6 წლისა და 6 თვის დანიშვნა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის -6000 ლარის დაკისრება.

განაჩენი ასევე სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. რ-ემ, რომელმაც ითხოვა დანიშნული სასჯელის შემსუბუქება მინიმუმამდე, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის -3500 ლარის მთლიანად ამორიცხვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განაჩენი ლ. კ-ის მიმართ შეიცვალა მის სასიკეთოდ იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულს ამოერიცხა დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა -3500 ლარი. დანარჩენ ნაწილში განაჩენი მსჯავრდებულ ლ. კ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. რ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ ლ. კ-ის მიმართ განაჩენი არის ზედმეტად მკაცრი და არ შესაბამეა მის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და პიროვნებას. კასატორი მიიჩნევს, რომ მართებული იქნება, ლ. კ-ის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ დ. რ-ის, მოწმეების -ზ. რ-ის, მ. რ-ის, ი. კ-ის, მ. ხ-ის, გ. ს-ის, მ. ც-ის, კ. წ-ის, ა. ლ-ისა და რ. კ-ის ჩვენებებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებითა და სხვა მტკიცებულებებით სრულად არის დადასტურებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, დადასტურებულია მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული, რასაც დაცვის მხარეც ეთანხმება და სადავოდ არ ხდის.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მისი ოჯახი განიცდის უკიდურესად მძიმე გაჭირვებას -რეგისტრირებულია სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებულ ოჯახთა მონაცემების ერთიან ბაზაში, მეზობლები მას ახასიათებენ დადებითად და მიაჩნია, რომ, დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ლ. კ-ის მიმართ დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ლ. კ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ლ. კ-ეს საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოოდ სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო

განჩინება

-283-აპ-10

14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჭ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 ივლისის განაჩენით გ. ჭ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა -3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იმავე განაჩენით გ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით (დაზარალებულ გ. შ-ს ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ტ. ბ-ს ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ტ. ბ-ს ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ გ. ნ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

მსჯავრდებულებს -გ. ჭ-სა და გ. ნ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოთ 2009 წლის 19 თებერვლიდან.

განაჩენით მსჯავრდებულებს მსჯავრი დაედოთ შემდეგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის:

2009 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, გ. ნ-მა განიზრახა, დანაშაულებრივი გზით დაუფლებოდა ავტომანქანის აკუმულატორს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მწვანეტარიანი ბრტყელტუჩას გამოყენებით გახსნა გ. შ-ს კუთვნილი ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით . . . , ე.წ. "კაპოტი" და ამოიღო შავი ფერის, 135 ლარად ღირებული აკუმულატორი, რითაც დაზარალებულ გ. შ-ს მიაყენა 135 ლარის ზიანი.

იმავე ღამის საათებში გ. ნ-ი მივიდა ქ. . . -ის, XV მკრ-ის . . . კორპუსის ეზოში, სადაც მწვანეტარიანი ბრტყელტუჩას გამოყენებით გახსნა ტ. ბ-ს კუთვნილი ავტომანქანა და ამოიღო 175 ლარად ღირებული აკუმულატორი, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2009 წლის 19 თებერვალს, ღამის საათებში, გ. ნ-ი შეხვდა გ. ჭ-ს. მათ ერთად დალიეს სპირტიანი სასმელი და მთვრალეობა განიზრახეს, დანაშაულებრივი გზით დაუფლებოდნენ ავტომანქანის აკუმულატორს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი მივიდნენ ქ. . . -ში, . . . კორპუსის ეზოში, სადაც მწვანეტარიანი ბრტყელტუჩას გამოყენებით გახსნეს გ. გ-ს კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ 21-06", ამოიღეს 120 ლარად ღირებული აკუმულატორი და მიიმალნენ, თუმცა იმავე ღამეს ისინი დააკავეს . . . საქალაქო სამმართველოს I განყოფილების თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ჭ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ. მ-მა, რომელმაც ითხოვა გ. ჭ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებიდან სსკ-ის 375-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება და სასჯელის მინიმუმის შეფარდება, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვლება პირობით -1 წლის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 28 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 28 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ჭ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. მ-მა.

კასატორმა საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ გ. ჭ-ს ქმედების სსკ-ის 375-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება და სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. ჭ-ს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების -რ. ბ-ს, ა. ნ-ს, ვ. პ-ს, კ. გ-ს, დ. ო-ს, დ. გ-ს ჩვენებებით, დაზარალებულების -გ. შ-ს, ტ. ბ-ს, გ. გ-ს ჩვენებებით, საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებითა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით გ. ჭ-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ნასამართლობის არმქონეა, ხასიათდება დადებითად და მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ გ. ჭ-ს მიმართ ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ჭ-ს სასიკეთოდ, კერძოდ: მას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფლების აღკვეთის ადკვეთა -უნდა შეუმცირდეს 1 წლით და შეეფარდოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. ჭ-ს სასჯელის ზომად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე, 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ჭ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ჭ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს 1 წლით და შეეფარდოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ გ. ჭ-ს სასჯელის საბოლოო ზომად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3500 ლარის ოდენობით;

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი

განჩინება

-308-აპ-10

30 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-ევის ინტერესების დაცვების, ადვოკატ პ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით მ. გ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით (36 ეპიზოდი), სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (6 ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 40 წლისა და 6 თვის ვადით. ამასთან, სსკ-ის 50-ე მუხლის IV ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით მ. გ-ევს საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლის ვადით.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

2006 წლის 8 სექტემბერს მ. გ-ევმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ დაემზადებინა საქართველოს მოქალაქის ყალბი პირადობის მოწმობა, თავისი გარდაცვლილი ბიძაშვილის -ნ. გ-ევის სახელზე, რის შემდეგ, იგი მივიდა ბოლნისის რაიონის სოფ. ... გარდაცვლილი ბიძაშვილის -ნ. გ-ევის საცხოვრებელ სახლში, სადაც შეცდომაში შეიყვანა ამ უკანასკნელის დედა -ხ. გ-ევა, კერძოდ, დაადასტურებინა თავისი ფოტოიდენტიურობა და შემდეგ 2006 წლის 8 სექტემბერს ბოლნისის სრს სამსახურში შეავსო განცხადება-ანკეტა (ფორმა -1), განცხადება -ანკეტა პირის რეგისტრაციაში გატარების შესახებ (ფორმა -3), ნ. გ-ევის დაბადების აქტის ჩაწერა -118, ბანკის ქვითრები, ორი ფოტოსურათი, რის საფუძველზეც 2006 წლის 20 სექტემბერს აიღო 1987 წლის 30 აგვისტოს დაბადებული ნ. გ-ევის სახელზე შედგენილი ყალბი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა.

მანვე განიზრახა, დაემზადებინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც შემდეგ გამოიყენებდა არაერთგზის. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ნ. გ-ევმა თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული ყალბი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა პირადი ნომრით -10001055613 და ნომრით -ბ 0982481, 2009 წლის 20 სექტემბერს საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტის დასამზადებლად წარადგინა ბოლნისის სრს სამსახურში, სადაც 1987 წლის 30 აგვისტოს დაბადებული ნ. გ-ევის სახელზე აიღო საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, რომელიც შემდეგ გამოიყენა არაერთგზის, კერძოდ, მან ნ. გ-ევის სახელი და გვარით 2006 წლის 29 სექტემბრიდან -2007 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით თერთმეტჯერ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სხვადასხვა მიმართულებით.

აღნიშნული ქმედებისთვის მ. გ-ევს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

2007 წლის 6 აგვისტოს მ. გ-ევმა გამოიყენა ნ. გ-ევის სახელსა და გვარზე დამზადებული ყალბი, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, კერძოდ, იგი იმავე დღეს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ "წითელი ხიდიდან" გავიდა საქართველოდან -აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

2007 წლის 15 აგვისტოს მ. გ-ევმა გამოიყენა ნ. გ-ევის სახელსა და გვარზე დამზადებული ყალბი, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, კერძოდ, იგი იმავე დღეს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ "წითელი ხიდიდან" შემოვიდა საქართველოში.

2007 წლის 20 აგვისტოს მ. გ-ევმა გამოიყენა ნ. გ-ევის სახელსა და გვარზე დამზადებული საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, კერძოდ, იგი იმავე დღეს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ "წითელი ხიდიდან" გავიდა საქართველოდან -აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

წილის თანახმად, სასჯელის ზომად მ. გ-ევს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 35 წლის ვადით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით მ. გ-ევს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მ. გ-ევს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. გ-ევის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. ფ-ძემ, რომელმაც ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას. საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. გ-ევის მიერ განაჩენით შერაცხულ დანაშაულთა ჩადენა, გარდა მისი აღიარებითი ჩვენებებისა, უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებულ, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: ა. გ-ევის, ნ. მ-ძის, ნ. ა-ძისა და ხ. გ-ევის წინასწარ გამოძიებაში მიცემული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ჩვენებებით, ბოლნისის სრს სამსახურში შევსებული განცხადება-ანკეტით (ფორმა -1), განცხადება - ანკეტით პირის რეგისტრაციაში გატარების შესახებ (ფორმა -3), ნ. გ-ევის დაბადების აქტის ჩანაწერით -118, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან გამოთხოვილი დოკუმენტებით ნ. გ-ევის სახელზე გაცემული პასპორტით საზღვრის გადაკვეთის ფაქტებზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

მ. გ-ევის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით, დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, მას უნდა შეუმცირდეს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელები, რადგან პალატას მიაჩნია, რომ ისინი თავისი ზომით აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს და აქედან გამომდინარე, უსამართლოა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მ. გ-ევის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმისა და გამომდინარე, დანიშნული სასჯელი -30 წლით თავისუფლების აღკვეთა -მეტისმეტად მკაცრია და უნდა შემსუბუქდეს, სსკ-ის 59-ე მუხლის 11 ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. გ-ევისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს -მ. გ-ევისათვის სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშ-

ნულ ძირითად სასჯელს -3 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ბრალდების 30 ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელების -3-3 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -1-1 თვე და 15-15 დღე, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ბრალდების 6 -2008 წლის 9 დეკემბრის, 2008 წლის 19 დეკემბრის, 2009 წლის 16 მარტის, 2009 წლის 25 მარტისა და ამავე წლის 23 ივნისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელის -1 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -6 თვე, 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (5 ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -1-1 წელი და 6-6 თვე, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელის -1 წლისა და 6 თვის ნაწილი -9 თვე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და მ. გ-ევს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით, რასაც დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მ. გ-ევს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს

განჩინება

-382-აპ-10

21 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -მ. ბ-ასა და რ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენით ა. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ლ. დ-ას, გ. გ-ის, ს. მ-ის ბრალდების ეპიზოდები) -6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თ. მ-ის, თ. შ-ის, ე. ს-ის, კ. ა-ის ბრალდების ეპიზოდები) -4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ა. ც-ეს სასჯელად განესაზღვრა 34 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 50-ე მუხლის IV ნაწილის საფუძველზე მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 13 სექტემბრიდან.

დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი. სამოქალაქო მოპასუხე ა. ც-ეს დაეკისრა ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო მოსარჩელების სასარგებლოდ: ლ. დ-სათვის -19850 აშშ დოლარის, გ. გ-სათვის -8500 აშშ დოლარის, თ. მ-სათვის -5000 აშშ დოლარის, თ. შ-სათვის -2000 ევროს, ე. ს-სათვის -1800 აშშ დოლარის, ს. მ-სათვის -4500 ევროს, ხოლო კ. ა-სათვის -2300 აშშ დოლარის ანაზღაურება.

დაზარალებულების მოთხოვნა ადვოკატების ჰონორარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ა. ც-ეს განაჩენით მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქონებრივი უფლების მიღებაში მოტყუებით, დიდი ოდენობით (ბრალდების სამი ეპიზოდი) და იმავე დანაშაულში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ბრალდების ოთხი ეპიზოდი).

მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 3 აგვისტოს ქ. რუსთავში მცხოვრებმა ა. ც-ემ მოატყუა იმავე ქალაქში მცხოვრები ლ. დ-ა და შეჰპირდა რა გერმანიიდან ავტომანქანის ჩამოყვანას, გამართვა 16000 აშშ დოლარი (28416.5 ლარი), ასევე შეჰპირდა მისი კუთვნილი, 2500 აშშ დოლარად (4412.5 ლარად) ღირებული ა/მანქანის - "ფორდ ფიესტას" გაყიდვაში დახმარებას და გამართვა ხსენებული ა/მანქანა.

მან ასევე, გერმანიიდან ავტომანქანების ჩამოყვანის პირობით მოატყუა იმავე ქალაქში მცხოვრებნი: გ. გ-ი, რომელსაც 2007 წლის 24 ოქტომბერს გამართვა ფულადი თანხა -8500 აშშ დოლარი (13884, 75 ლარი); ს. მ-ი, რომელსაც 2008 წლის 24 მარტს გამართვა ფულადი თანხა -4500 ევრო (10305 ლარი); თ. მ-ი, რომელსაც 2008 წლის 3 იანვარს გამართვა თანხა -5000 აშშ დოლარი (7958 ლარი); თ. შ-ი, რომელსაც 2008 წლის 15 თებერვალს გამართვა თანხა -2000 ევრო (4574 ლარი); ე. ს-ი, რომელსაც 2008 წლის 24 მარტს გამართვა ფულადი თანხა -1800 აშშ დოლარი (2669, 4 ლარი) და კ. ა-ი, რომელსაც 2008 წლის 24 მარტს გამართვა ფულადი თანხა -2300 აშშ დოლარი (3410,9 ლარი).

ა. ც-ე ზემოაღნიშნულ თანხებს თაღლითურად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა, რითაც დაზარალებულებს - ლ. დ-ას, გ. გ-სა და ს. მ-ს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, ხოლო თ. მ-ს, თ. შ-ს, ე. ს-სა და კ. ა-ს - მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულების: თ. შ-ის, ე. ს-ის, კ. ა-ის, თ. მ-ის, ს. მ-ის, გ. გ-ისა და მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა.

დაზარალებულებმა სააპელაციო საჩივარში აღნიშნეს, რომ სასამართლომ არ გაიზიარა დაზუსტებული სამოქალაქო სარჩელები, რომლებიც ეფუძნებოდა იმ დროისათვის ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებით დეველვაციას. აპელანტებმა ითხოვეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ე. ს-ის სასარგებლოდ -2919 ლარის, გ. გ-ის სასარგებლოდ -12764 ლარის, თ. შ-ის სასარგებლოდ -4825 ლარის, თ. მ-ის სასარგებლოდ -7788 ლარის, კ. ა-ის სასარგებლოდ -3661 ლარისა და ს. მ-ის სასარგებლოდ -10571 ლარის დაკისრება.

მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა სააპელაციო საჩივარში აღნიშნეს, რომ განაჩენი მათი დაცვის ქვეშ მყოფი ა. ც-ის მიმართ მიაჩნიათ აშკარად უკანონოდ და დაუსაბუთებლად, რადგან მსჯავრდებულს დაზარალებულებთან წლების განმავლობაში ჰქონდა მეგობრული და მეზობლური ურთიერთობა. ა. ც-ეს ყველა მათგანისათვის ჩამოყვანილი ჰყავს ავტომანქანა, მათ შორის ჩამოყალიბდა ბიზნეს-პარტნიორული ურთიერთობა და ფაქტობრივად დაიდო ზეპირი ხელშეკრულება. ა. ც-ემ დაზარალებულებს ფული იმისთვის გამართვა, რომ მათთვის გერმანიიდან ჩამოყვანა ავტომანქანები, რაც, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ შეძლო. აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით იგი გაფრინდა უკრაინაში, სადაც პოლიციამ დააკავა ი. კ-ის ზეგავლენით და საიდანაც თავის დადწევა მხოლოდ დიდი თანხის გადახდის შემდეგ შეძლო. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ კი გაიგო, რომ დაზარალებულები ოჯახში აკითხავდნენ და პროკურატურაში საჩივარი ჰქონდათ შეტანილი. მიუხედავად ამისა, იგი ჩამოვიდა საქართველოში, თუმცა შეეძლო, თავი აერიდებინა მართლმსაჯულებისათვის. აპელანტთა აზრით, ა. ც-ის ქმედება არ მოიცავს თაღლითობის ნიშნებს და მხოლოდ სამოქალაქო ურთიერთობით უნდა მოწესრიგდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის განაჩენი ა. ც-ის მიმართ შეიცვალა სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

სამოქალაქო მოსარჩელე ლ. დ-ას სარჩელი დარჩა განუხილველი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. ბ-ამ და რ. მ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივარში აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი. მსჯავრდებული ა. ც-ე თანხის გადახდის ვალდებულებას იღებს უკლებლივ ყველა დაზარალებულისათვის ლ. დ-ას გარდა. ა. ც-ემ არა თუ თაღლითურად მოატყუა ე.წ. დაზარალებულები, როგორც ამას გამოძიება ამტკიცებს, არამედ გაკოტრდა, რის შემდეგაც დაზარალებულებს უნდა მიემართათ სამოქალაქო სამართლებრივი გზით საქმის წარმოებისათვის.

ამდენად, ადვოკატებმა ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლების მიზნით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ბ-ასა და რ. მ-ს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ა. ც-ის ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო თაღლითობით, რადგან მსჯავრდებულის ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და, ამდენად, აღნიშნული ქმედება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა მოწესრიგებულიყო, ვინაიდან საქმეში არსებული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში მსჯავრდებულმა ა. ც-ემ განაცხადა, რომ მანქანების ბიზნესი დაიწყო 2001 წლიდან და ყველა დაზარალებულს კარგად იცნობს. თითქმის ყველა მათგანისათვის ჰყავს ავტომანქანა ჩამოყვანილი. 25 მარტს იგი აპირებდა გერმანიაში გამგზავრებას მანქანების ახალი „პარტიის“ გამოსაგზავნად. დაზარალებულებს მანქანების ჩამოსაყვანად თანხა 24 მარტს გამოართვა. თითქმის ყველა დაზარალებულს, დ-ას გარდა, უთხრა, რომ მეორე დღეს გერმანიაში მიდიოდა. მაგრამ როდესაც გერმანიაში თავის ქართველ პარტნიორს დაურეკა, რომლის სახელი და გვარი არ ახსოვს, გაიგო, რომ მისმა მეორე პარტნიორმა, უკრაინელმა, გერმანიის მოქალაქეობის მქონე ი. კ-მა, მისი დატოვებული მანქანები გაყიდა და გაუჩინარდა. გერმანიაში მყოფი პარტნიორის დახმარებით გაიგო ი. კ-ის მისამართი და 26 მარტს, დაზარალებულებისათვის გამორთმეული თანხით -16000 აშშ დოლარით, ნაცნობ ქალბატონ ჟ. ფ-სთან ერთად, რომელიც კ-ის პოვნაში უნდა დახმარებოდა, კიევიში გაფრინდა. უკრაინაში ჩასვლის მეორე დღეს სახლში დარეკა და მეუღლეს უთხრა, რომ უკრაინაში იყო, მერე სამი თვის მანძილზე არც დაზარალებულებს დაკავშირებია და არც თავის ოჯახს. მან იპოვა ი. კ-ი, რომელმაც არ უარყო მანქანების გაყიდვის ფაქტი და შეჰპირდა, რომ ერთ კვირაში თანხას მისცემდა, მაგრამ მოატყუა და პოლიციას დააჭირინა, სადაც 15000 დოლარი გადაიხადა, რომ გამოეშვათ. აღნიშნულის შესახებ დაზარალებულებისათვის არ უცნობებია. უკავშირდებოდა მხოლოდ ა. ს-ს, თუმცა მისთვის არ დაუვალებია, რომ დაზარალებულებისათვის მომხდარის შესახებ ეცნობებინა. თ. და ს. მ-ები შემთხვევით შეხვდნენ ა. ს-ს, რომელმაც მათ ყველაფერი შეატყობინა.

პალატის აზრით, ასეთი ჩვენების მიცემა განაპირობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზანმა, რასაც

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება მოწმეების - ო. ი-ის, ბ. მ-ის, დაზარალებულების: ს. მ-ის, თ. მ-ის, გ. გ-ის, ლ. დ-ას, თ. შ-ის, ე. ს-ის, კ. ა-ის ჩვენებებით, კერძოდ:

დაზარალებულებმა ს. და თ. მ-ებმა არ დაადასტურეს მსჯავრდებულ ა. ც-ის განმარტება, რომ ეს უკანასკნელი მათ ა. ს-ის დახმარებით უკავშირდებოდათ. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ, დაზარალებულთა განმარტებით, 24 მარტს მათ ა. ც-ემ უთხრა, რომ, თითქოს მათთვის გამოგზავნილი მანქანა თურქეთიდან ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული, თუმცა მოგვიანებით შეიტყვეს, რომ ც-ე ატყუებდათ. აღნიშნული ავტომანქანა მას 15 მარტს უკვე ო. ი-სათვის ჰქონდა მიყიდული, რაც 24 მარტს გადაუფორმა კიდევ.

ამდენად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2010 წლის 23 თებერვლის კანონის შესაბამისად, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად: "თუ დანაშაულთა ერთობლიობის დროს რამდენიმე დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელი ინიშნება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით, ამ შემთხვევაში ყველაზე მძიმე ერთი ძირითადი სასჯელის გარდა, ხოლო თუ ინიშნება თანაბარი სიმძიმის რამდენიმე სასჯელი, -ერთ-ერთი მათგანის გარდა, დანარჩენი ძირითადი სასჯელი (სასჯელები) ინიშნება ვადის ნახევრიდან სრულ მოცულობამდე ვადით და ისე ხდება მათი შეკრება საბოლოო სასჯელის დანიშვნისას".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ც-ის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი -30 წლით თავისუფლების აღკვეთა -მეტისმეტად მკაცრია და იგი უნდა შემსუბუქდეს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილით, სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -მ. ბ-ასა და რ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

ა. ც-სათვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ლ. დ-ას ბრალდების ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს - 6 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. გ-ისა და ს. მ-ის ბრალდების ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების -6-6 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 4-4 წელი, სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თ. მ-ის, თ. შ-ის, ე. ს-იანის, კ. ა-ის ბრალდების ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების -4-4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -2-2 წელი და ა. ც-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 22 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, სამოქალაქო სარჩელების დაკმაყოფილების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს

განჩინება

-472-აპ-10

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით ნ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით -2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდა და განესაზღვრა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -2500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნ. ქ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განე-

საზღვრა 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -17 500 ლარი.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ქ-ს დაეკისრა: ც. უ-ს სასარგებლოდ -44 ლარის, ნ. ჩ-ს სასარგებლოდ -625 ლარის, ნ. ვ-ს სასარგებლოდ -290 ლარის, ნ. უ-ს სასარგებლოდ -480 ლარის, მ. ჯ-ს სასარგებლოდ -1945 ლარისა და ს. ქ-ს სასარგებლოდ -350 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ნ. ქ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ქალაქ გურჯაანში მცხოვრები, ... წლის ... ოქტომბერს დაბადებული ნ. ქ-ი 2008 წლის მაისის თვის დაუდგენელ რიცხვში სტუმრად იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-ს ოჯახში, სადაც გაიცნო ამავე სოფელში მცხოვრები ნ. ჩ-ი და განიზრახა, თაღლითური გზით დაუფლებოდა მის კუთვნილ ფულს, რის გამოც ნ. ჩ-ს შესთავაზა, თუ სურვილი ექნებოდა, დაეხმარებოდა ქალაქ ... მიწის ნაკვეთის შექმნაში, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ნ. ქ-მ მოტყუებით, თითქოსდა ნაკვეთის შესასყიდად ნ. ჩ-ს თაღლითური გზით გამოართვა თანხის პირველადი შესატანი -625 ლარი, რის შემდეგაც იგი მიიმალა და თანხა დღემდე არ დაუბრუნებია, რითიც დაზარალებულმა ნ. ჩ-მ განიცადა 625 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის მაისის თვის დაუდგენელ რიცხვში ნ. ქ-მ სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-ს ოჯახში სტუმრად ყოფნის დროს გაიცნო ამავე სოფელში მცხოვრები ც. უ-ი, რომლისგანაც შეიტყო, რომ მას ღვინო ჰქონდა გასაყიდი და განიზრახა მოტყუებით, თაღლითური გზით დაუფლებოდა ამ უკანასკნელის კუთვნილ ღვინოს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ნ. ქ-ი მივიდა ც. უ-ს ოჯახში, გამოართვა 40 ლიტრი ღვინო, რის შემდეგაც აჩვენა აშშ 50-დოლარიანი კუპიურა და უთხრა, რომ გადაცვლიდა ლარზე და გადაუხდიდა 40 ლიტრი ღვინოს საფასურს -44 ლარს, რის შემდეგაც წავიდა მისი ბინიდან და აღარ დაუბრუნებულა, რითიც დაზარალებულ ც. უ-ს მიაყენა 44 ლარის ზიანი.

2008 წლის აპრილის თვის დაუდგენელ რიცხვში ნ. ქ-ი სტუმრად იმყოფებოდა სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-ს ოჯახში. მან მოიპოვა ამ უკანასკნელის ნდობა და თაღლითურად განიზრახა აღდგომის დღესასწაულისათვის "პასკის" გამოსაცხობად ნ. ვ-სათვის ეყიდვინებინა 40 ლარის ფევილი; იგი ასევე თაღლითურად დაეუფლა ნ. ვ-ს კუთვნილ, 250 ლარად ღირებულ 125 წიწილას და, მიუხედავად ნ. ვ-ს არაერთგზის მოთხოვნისა, თანხა დღემდე არ გადაუხდია, რითიც დაზარალებულ ნ. ვ-ს მიაყენა 290 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის მაისის თვის დაუდგენელ რიცხვში ნ. ქ-ი სტუმრად იმყოფებოდა სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-თან, რა დროსაც გაიცნო ამავე სოფელში მცხოვრები ნ. უ-ი და მოახერხა მისი ნდობის მოპოვება. ნ. ქ-მ თაღლითური განზრახვით, თითქოსდა სასუქის საყიდლად აკლდებოდა ფული, ნ. უ-ს სესხით გამოართვა 420 ლარი. ფულის გადაცემის შემდეგ სთხოვა, რომ მისთვის მიეყიდა არაყი და ნასესხებ ფულთან ერთად დაუბრუნებდა არყის ფულსაც, რაზედაც ნ. უ-ი დათანხმდა და 20 ლიტრი არაყი მიჰყიდა 60 ლარად. მიუხედავად ნ. უ-ს არაერთგზის მოთხოვნისა, ნ. ქ-ს მისთვის თანხა დღემდე არ დაუბრუნებია, რითიც დაზარალებულ ნ. უ-ს მიაყენა 480 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის აპრილის თვის დაუდგენელ რიცხვში ნ. ქ-ი სტუმრად იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-თან, რა დროსაც გაიცნო სოფელ ... მცხოვრები მ. ჯ-ი, რომლისგანაც შეიტყო, რომ მას სოფელ ... ჰქონდა სასურსათო მაღაზია. მან მოახერხა მ. ჯ-ს ნდობის მოპოვება და თაღლითური განზრახვით 2008 წლის ... აპრილს სასურსათო მაღაზიიდან გამოართვა 100 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის პროდუქტი, რომლის გადახდასაც დაჰპირდა რამდენიმე დღეში. პროდუქტების წაღების შემდეგ მ. ჯ-ს უთხრა, რომ სესხის სახით სჭირდებოდა 945 ლარი, რომელსაც პროდუქტის ფულთან ერთად დაუბრუნებდა, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. მასვე 2008 წლის მაისის თვის დაუდგენელ რიცხვში, თითქოსდა შექმნილი საქონლის განსაბაჟებლად, სესხის სახით გამოართვა 900 ლარი და შეჰპირდა, რომ ნასესხებ 1045 ლართან ერთად დაუბრუნებდა და, მიუხედავად მ. ჯ-ს არაერთგზის მოთხოვნისა, მისთვის თანხა დღემდე არ დაუბრუნებია, რითიც დაზარალებულ მ. ჯ-ს მიაყენა 1945 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის მაისის თვის დაუდგენელ რიცხვში ნ. ქ-ი სტუმრად იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნ. ვ-თან, ვისთანაც გაიცნო ამავე სოფელში მცხოვრები ს. ქ-ი და განიზრახა, თაღლითურად დაუფლებოდა მის კუთვნილ ქონებას. ამ მიზნით ამ უკანასკნელს შესთავაზა, თუ სურვილი ჰქონდა, ქალაქ ... ნაცნობების დახმარებით იაფად შეამყინებდა მიწის ნაკვეთს, რითაც შეცდომაში შეიყვანა იგი და მოტყუებით, თაღლითური გზით გამოართვა, თითქოსდა მიწის ნაკვეთის შესასყიდად საჭირო პირველადი შესატანი თანხა -350 ლარი, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია, რითიც დაზარალებულ ს. ქ-ს მიაყენა 350 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

ნ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით -2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -2500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნ. ქ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -17 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 26 ნოემბრიდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ქ-ს დაეკისრა: ც. უ-ს სასარგებლოდ -44 ლარის, ნ. ჩ-ს სასარგებლოდ -625 ლარის, ნ. ვ-ს სასარგებლოდ -290 ლარის, ნ. უ-ს სასარგებლოდ -480 ლარის, მ. ჯ-ს სასარგებლოდ -1945 ლარისა და ს. ქ-ს სასარგებლოდ -350 ლარის გადახდა.

მსჯავრდებული ნ. ქ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, მას დანაშაული არ ჩაუდენია; ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ შეფარდებული სასჯელი არის მკაცრი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და ნ. ქ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ ნ. ქ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებულების -ნ. ჩ-ს, ს. ქ-ს, ც. უ-ს, ნ. ვ-ს, ნ. უ-ს, მ. ჯ-ს ჩვენებით, მოწმეების -გ. ყ-ს, გ. ყ-ს, რ. ქ-ს, ზ. ქ-ს, თ. გ-ს ჩვენებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ნ. ქ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, ამასთან, მის მიერ ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ნ. ქ-ს მიმართ გამოყენებულ იქნეს განაჩენთა ერთობლიობით მისთვის დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესი და არა აღნიშნულ სასჯელთა სრული შეკრება, რის გამოც მას სასამართლოს მიერ დანიშნული საბოლოო სასჯელი -21 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა შეუმსუბუქდეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განაჩენი შეიცვალოს:

მსჯავრდებულ ნ. ქ-სათვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ ძირითად სასჯელს -4 წლით თავისუფლების აღკვეთას -დამატოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი -2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ბრალდების ოთხი ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელების -4-4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -2-2 წელი და ნ. ქ-ს საბოლოოდ მიესაჯოს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -17 500 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის დანიშვნა განაჩენთა
ერთობლიობის დროს**

განჩინება

-622-აპ-10

15 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის განაჩენით ი. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 23 ივლისს ი. კ-ი სტუმრად იმყოფებოდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ზიძასთან -მ. კ-თან, რომლის ოჯახში იმ დღეს ი. კ-მა და ამავე ოჯახში მცხოვრებმა ი. ჯ-მა დალიეს კონიაკი და დათვრნენ. ამის შემდეგ სასმელის დასალევად ისინი ერთად მივიდნენ სოფელ ... ცენტრში მდებარე მაღაზიასთან, სადაც შეიძინეს ერთი ლიტრი არაყი და ორი ლიტრი ლუდი, რომელიც ადგილზევე დალიეს და ფეხით გაემართნენ ამავე სოფელში მდებარე საფეხბურთო მოედნისაკენ. გზაში მსვლელობისას ი. კ-სა და ი. ჯ-ს, ამ უკანასკნელის მხრიდან ი. კ-ის საცოლის არაკორექტულად მოხსენიების გამო, მოუვიდათ ურთიერთშელაპარაკება, რაც გადაიზარდა ჩხუბში. განაწყენებულმა ი. კ-მა განიზრახა ი. ჯ-ის მოკვლა, რისთვისაც მან შარვლის ჯიბიდან ამოიღო დიდი ზომის გასაშლელი, ყავისფერტარიანი დანა და ი. ჯ-ს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის, ორმხრივი, მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები ზურგის არეში, შემავალი მარცხენა პლევრის ღრუში, მსუბუქი ხარისხის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები მუცლის წინა, გვერდით კედელსა და თემოს წინა, ზედა წვეტიის არეში. ი. კ-მა ი. ჯ-ის მოკვლის განზრახვა ბოლომდე სისრულში ვერ მიიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ, აღნიშნულ ფაქტს შეესწრო დაზარალებულის ძმა -ლ. ჯ-ი, რომელიც შეეცადა ი. კ-ის დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთასა და მისთვის დანის წართმევას, რა დროსაც მანაც და-

ნით მიიღო მსუბუქი დაზიანება მარცხენა მტევნის პირველი თითის ნაკვეთი ჭრილობის სახით, რის შემდეგაც ი. კ-ი დანაშაულის ჩადენის იარაღთან ერთად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

დაჭრილი ი. ჯ-ი ავტომანქანით გადაიყვანეს ამბროლაურის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. კ-ს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი -4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. კ-ემ და ითხოვა ი. კ-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 2010 წლის 13 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად; ამასთან, ი. კ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 6 თვისა და 4 დღის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 თებერვლიდან.

კასატორი -მსჯავრდებულ ი. კ-ის ადვოკატი მ. კ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს ი. ჯ-ის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, რადგან ისინი მეგობრობენ, მათ შორის მტრული დამოკიდებულება არ ყოფილა და ყველაფერი მოხდა სპონტანურად, უზომო სიმთვრალის გამო; დაზარალებული მხოლოდ ორი დღე იწვა საავადმყოფოში, არის აბსოლუტურად ჯანმრთელი და მან წარადგინა ნოტარიულად დამოწმებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მას ი. კ-ის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნია; აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საპატრიარქომ მას გაუწია შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ი. კ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლიდან 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებული და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ:

თავად მსჯავრდებული სასამართლოში განმარტავს, რომ ი. ჯ-ს სამჯერ "უნებურად მოუქნია" დანა. იქვე მივიდა დაზარალებულის ძმა, რომელიც ცდილობდა მსჯავრდებულისათვის დანის წართმევას. კითხვაზე -აფიქრებდა თუ არა, სად ხვდებოდა დანა დაზარალებულს, მსჯავრდებული პასუხობს: "ალბათ ბეჭში, ზუსტად არ მახსოვს".

დაზარალებულის ძმის -ლ. ჯ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ მიუხედავად მცდელობისა, ი. კ-ს დანა ვერ წართვა და ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ი. ჯ-ს აღენიშნებოდა არაერთი ნაკვეთი-ნაჩხვლეტი ჭრილობა, მათ შორის -ორმხრივი, მრავლობითი ჭრილობები ზურგის არეში, შემავალი პლევრის ღრუში, რაც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მსჯავრდებულის ქმედება სამართლებრივად სწორად შეფასდა.

ამასთან, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის -4 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა ი. კ-ს დაეწყო 2009 წლის 13 აგვისტოდან და 2010 წლის 24 თებერვლისათვის -ბოლო განაჩენის გამოტანის დღისათვის, აღნიშნული სასჯელიდან მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდა 6 თვე და 11 დღე. შესაბამისად, წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეადგენს 3 წელს, 5 თვეს და 19 დღეს, ნაცვლად სააპელაციო პალატის განაჩენში მითითებული 3 წლის, 6 თვის და 4 დღისა.

გარდა აღნიშნულისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერია, ხოლო დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. კ-ის ადვოკატ მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულისათვის სსკ-ის მე-19,108-ე მუხლის დანიშნულ სას-

ჯელს -8 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წელი, 5 თვე, 19 დღე და ი. კ-ს საბოლოოდ მიესაჯოს 11 წლით, 5 თვით და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2010 წლის 24 თებერვლიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.